

შესყიდვის შესახებ ცნობა

მოწვევა წინასწარ შერჩევაზე

საქართველო

საშურის წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტი

UWSCG-IPC-DB-Lot 2: საშურში სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და მაგისტრალური მილების პროექტირება და მშენებლობა

2021 წ. 23 მარტი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და ევროკავშირისაგან მიიღო სახსრები საშურის წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტის დაფინანსების მიზნით და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება UWSCG-IPC-DB-Lot2: საშურში სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და მაგისტრალური მილების პროექტირებისა და მშენებლობის დაფინანსებისათვის¹.

ზოგადი:

გეგმების, გრაფიკებისა და ანგარიშების, მათ შორის, არა მხოლოდ დემონტაჟის გრაფიკის/გეგმის, საწყისი ეკოლოგიური კვლევისა და ჯეროვანი გადახედვის ანგარიშის განახლების, სამშენებლო მოედანზე ნარჩენების მართვის გეგმის, სამშენებლო მოედანზე მტვრის მართვის გეგმის, სამშენებლო მოედანზე ზედაპირული წყლის მართვის გეგმის (თუ საჭიროა), სამშენებლო მოედანზე ექსკავირებული მასალების მართვის გეგმის, სამშენებლო მოედანზე ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმისა და თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის მომზადება.

სათავე ნაგებობები

- I. ორი სატესტო ჭაბურღილის პროექტირება და მშენებლობა დაახლოებით 50 მეტრიანი სიღრმით, რათა ცხრამუხისა და ხცისის სათავე ნაგებობებზე განისაზღვროს წყლის დებიტი და გავლენის რადიუსი.
- II. ცხრამუხის სათავე ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა
 - (ა) ჭაბურღილები - მთლიანი მოთხოვნილი წარმადობა დაახლოებით 6,500 მ³/დღე. სატესტო ჭაბურღილების შედეგების შემოწმების შემდეგ განისაზღვრება საექსპლუატაციო ჭაბურღილების რაოდენობა, სიღრმე და განთავსების ადგილები;
 - (ბ) გამათანაბრებელი რეზერვუარი ჭაბურღილებსა და სატუმბო სადგურს შორის (კონტრაქტორი განსაზღვრავს მოცულობას);
 - (გ) სატუმბო სადგური, საიდანაც მომარაგდება ორი არსებული რეზერვუარი - ბეკამი (V = 1,000 მ³) და ზემო სერი (6,000 მ³). სატუმბო სადგურს ექნება ტუმბოების ორი დამოუკიდებელი კომპლექტი. კონტრაქტორი განსაზღვრავს ტუმბოების რაოდენობასა და წარმადობას. საერთო აწევის სიმაღლეში (დაახლოებით 80/100 მ) გათვალისწინებული უნდა იყოს მაგისტრალის წნევის დანაკარგები;
 - (დ) საქლორატორო შენობა სადუზინგექციო ხსნარის დოზირების სისტემით;
 - (ე) ადგილობრივი SCADA ცენტრალურ SCADA-ზე დაერთების შესაძლებლობით.
 - (ვ) აღნიშნული ნაგებობების ექსპლუატაციიდან ამოღება და დემონტაჟი.

¹ აღნიშნულ კონტრაქტს AFD და ევროკავშირი ერთად დააფინანსებს.

III. ხცისის სათავე ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა

- (ა) ჭაბურღილები - მთლიანი მოთხოვნილი წარმადობა დაახლოებით 5,000 მ³/დღე. სატესტო ჭაბურღილების შედეგების შემოწმების შემდეგ განისაზღვრება საექსპლუატაციო ჭაბურღილების რაოდენობა, სიღრმე და განთავსების ადგილები;
- (ბ) გამათანაბრებელი რეზერვუარი ჭაბურღილებსა და სატუმბო სადგურს შორის (კონტრაქტორი განსაზღვრავს მოცულობას);
- (გ) სატუმბო სადგური, საიდანაც მომარაგდება ერთ არსებული რეზერვუარი - გაგარინი ($V = 4,000 \text{ მ}^3$). კონტრაქტორი განსაზღვრავს ტუმბოების რაოდენობასა და წარმადობას. საერთო აწევის სიმაღლეში (დაახლოებით 80/100 მ) გათვალისწინებული უნდა იყოს მაგისტრალის წნევის დანაკარგები;
- (დ) საქლორატორო შენობა სადუზინფექციო ხსნარის დოზირების სისტემით;
- (ე) ადგილობრივი SCADA ცენტრალურ SCADA-ზე დაერთების შესაძლებლობით;
- (ვ) არსებული ნაგებობების ექსპლუატაციიდან ამოღება და დემონტაჟი.

IV. რეზერვუარების პროექტირება და მშენებლობა

- (ა) ძველი ბეკამის რეზერვუარის შეცვლა და ერთი ახალი $V = 1,000 \text{ მ}^3$ რეზერვუარის მშენებლობა. მშენებლობის დროს ქალაქს უნდა მიეწოდებოდეს წყალი, რაც საჭიროებს დროებით ბაიპასს;
- (ბ) ძველი ზემო სერის რეზერვუარის შეცვლა და ერთი ახალი $V = 6,000 \text{ მ}^3$ რეზერვუარის მშენებლობა. მშენებლობის დროს ქალაქს უნდა მიეწოდებოდეს წყალი, რაც საჭიროებს დროებით ბაიპასს;
- (გ) არსებული $V = 2 \times 2,000 \text{ მ}^3$ გაგარინის რეზერვუარის რეაბილიტაცია. უნდა აშენდეს ახალი საშიბერო კამერა. შიდა მილგაყვანილობა უნდა შეიცვალოს. მშენებლობის დროს ქალაქს უნდა მიეწოდებოდეს წყალი, რაც საჭიროებს დროებით ბაიპასს.

V. მაგისტრალის პროექტირება და მშენებლობა

- (ა) მაგისტრალი ცხრამუხის სატუმბო სადგურიდან ბეკამის რეზერვუარამდე, DN 160 მმ, HDPE, L = 5,000 მ დაახლოებით, გამორეცხვისა და ვანტუზის კამერებით;
- (ბ) მაგისტრალი ცხრამუხის სატუმბო სადგურიდან ზემო სერის რეზერვუარამდე, DN 315 მმ, HDPE, L = 6,000 მ დაახლოებით, გამორეცხვისა და ვანტუზის კამერებით;
- (გ) მაგისტრალი ხცისის სატუმბო სადგურიდან გაგარინის რეზერვუარამდე DN 280 მმ, HDPE, L = 4,600 მ გამორეცხვისა და ვანტუზის კამერებით;
- (დ) მაგისტრალი გაგარინიდან ზემო სერის რეზერვუარამდე DN 225 მმ, HDPE, L = 1,400 მ, გამორეცხვისა და ვანტუზის კამერებით.

მნიშვნელოვანი შენიშვნა:


ახალი სათავე ნაგებობის მშენებლობის დროს ძველ სათავეზე უნდა მიმდინარეობდეს წყლის მოპოვება და წყლის მოპოვება უნდა იყოს შეუფერხებელი.

VI. ადმინისტრაციული და ტექნიკური შენობის პროექტირება და მშენებლობა

- (ა) არსებული ლაბორატორიის შენობის დემონტაჟი;
- (ბ) ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, სადაც იქნება ახალი წყლის ლაბორატორია, ცენტრალური SCADA ოთახი და ტრენინგების ოთახი;
- (გ) უზო.

VII. ცენტრალური SCADA

საუბნო აღრიცხვის ზონებიდან და წყალარინების გამწმენდი ნაგებობიდან უნდა მოხდეს მხოლოდ მონაცემების მიღება, ხოლო მოწყობილობები, როგორცაა ურდულები და ტუმბოები რეზერვუარებსა და სათავეებზე (ცხრამუხა და ხცისი), უნდა იმართებოდეს დისტანციურად.



რუკა 1. მეორე ლოტის სამუშაოების მოცულობა - მონახაზი

დამკვეთის პერსონალის ტრენინგი

დამკვეთის პერსონალის პრაქტიკული ტრენინგი ზემოხსენებული ობიექტების ოპერირებისა და ექსპლუატაციის საკითხებში.

განხორციელების პერიოდი

განხორციელების პერიოდი უნდა იყოს 34 თვე, მათ შორის, შემდეგი ფაზები:

- (i) პროექტირება, დამტკიცება & მშენებლობის ნებართვების მოპოვების ფაზა - ხანგრძლივობა 10 თვე;
- (ii) მშენებლობა და ექსპლუატაციაში ჩაშვება - ხანგრძლივობა 24 თვე.

ოპერირებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობა

ოპერირებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობის ფაზა ჯერ კიდევ განხილვის საგანია. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნის გაცხადების შემდეგ და ჩაიდება სატენდერო დოკუმენტებში. ნებისმიერ შემთხვევაში ოპერირებისა და ექსპლუატაციის პერიოდი იქნება 12-დან 36 თვემდე.

სატენდერო წინადადების მიღებაზე მოწვევა გამოცხადდება სავარაუდოდ **2021 წ. ივნისში**.

დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან“ (მისამართი ქვემოთ) სამუშაო საათების განმავლობაში **10:00-დან 17:00 საათამდე (ადგილობრივი დრო)**. დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ შეიძინონ საწყისი შერჩევის დოკუმენტები **ინგლისურ ენაზე** (ა) ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარდგენით და (ბ) არაანაზღაურებადი **330 ლარის ან ექვივალენტი 100 აშშ დოლარის** გადახდით. გადახდის მეთოდი შეიძლება იყოს **უნაღდო ანგარიშსწორება ან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ანგარიშზე ელექტრონული გადარიცხვით**.

აშშ დოლარისათვის: ანგარიშის ნომერი **GE40LB0113123325230096**, ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: **LBRTGE22**) ან

ქართული ლარისათვის: ანგარიშის ნომერი **GE67LB0113123325230095** ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: **LBRTGE22**).

დოკუმენტები გაიგზავნება პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

საწყისი შერჩევისათვის წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული უნდა იყოს მკაფიოდ მარკირებულ კონვერტებში და მიწოდებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემულ მისამართზე **2021 წ. 27 აპრილს, 15:00 საათისათვის (ადგილობრივი დრო)**. დაგვიანებული წინადადებები შეიძლება არ იყოს მიღებული.

ოფისი: **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“**

ადრესატი: **ნინო აბულაძე საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი; მადონა თხელიძე საერთაშორისო შესყიდვების სამსახურის უფროსი.**

მისამართი: **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათავო ოფისის მეოთხე სართული (კანცელარია), ვაჟა-ფშაველას 76ბ, თბილისი, საქართველო (0186)**

ტელეფონი: **+995 032 2 91 90 60**

ელექტრონული ფოსტის მისამართი: N.Abuladze@water.gov.ge; m.tkhelidze@water.gov.ge

ვებგვერდის მისამართი: <http://water.gov.ge/>